



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 24 სექტემბერი, 2020 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
4. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
5. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
6. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
7. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. გიორგი ძამუკაშვილი - სათემო ფონდი "ადგილის დედა"
9. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
10. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
11. ნატო არღვლიანი - „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“

განსახილველი საკითხები:

1. სექტორული მიმართულებებით არსებული გამოწვევების ანალიზი
2. დანართი პოლიტიკური პარტიებისთვის - დოკუმენტზე მუშაობა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველშვილმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

კოორდინატორმა ისაუბრა ეროვნული პლატფორმის მიერ შემუშავებულ მიმართაზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის გაკეთებას, მომავალი ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში. აღნიშნული მიმართვა მომზადდა საქართლოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ და მას ასამდე წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი აწერს ხელს.

მიმართვა გავრცელდა მედია საშუალებებით და დაეგზავნათ პოლიტიკურ პარტიებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმართვას გამოეხმაურა არაერთი პოლიტიკური პარტია. შესაბამისად იგეგმება მათთან სამუშაო ფორმატით შეხვედრების გამართვა, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

სამუშაო შეხვედრებისთვის მნიშვნელოვანია რომ სექტორული მიმართულებით არსებული გამოწვევების ანალიზი მოხდეს ეროვნული პლატფორმის მხრიდან. მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა შეიმუშავეს დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც ასახავს მნიშვნელოვან საკითხებს მომავალი 4 წლის განმავლობაში, როგორც გარემოს დაცვით სექტორში, ისე ენერჯეტიკის მიმართულებით. ჯგუფის შეხვედრამე ეს დოკუმენტი გადაიგზავნა მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რათა საბოლოოდ მოხდეს მათთან საკითხის შეთანხმება.

ჯგუფის შეხვედრაზე, დეტალურად განიხილეს დანართი დოკუმენტში არსებული სექტორული საკითხები. შეხვედრის დასასრულს, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და დამტკიცდა მესამე სამუშაო ჯგუფის თემატიკის გათვალისწინებით სექტორული მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ დოკუმენტი.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე